

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის გაფართოებულის სხდომის

ოქმი

ქ. თბილისი, 2003 წლის 14 თებერვალი

საქართველოს უზენაესი  
სასამართლო

სხდომა დაიწყო 16.00 საათზე  
სხდომა დასრულდა 19.00 საათზე

2003 წლის 14 თებერვალს გაიმართა საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის გაფართოებული სხდომა

სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2002 წლის 2  
ოქტომბრის დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია საერთო სასამართლოებში  
განსახილველ სასარჩელო და სხვა სახის განცხადებებსა და საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის  
გადახდევინების პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: თენგიზ ლილუაშვილი,  
თანამომხსენებელი: მერეზ ახოზაძე

2. საერთო სასამართლოებში უწყებების დაგზავნის პრაქტიკის შესწავლისა და „ცენტრალიზებული  
სასამართლო ფოსტის“ მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ახოზაძე

3. სხვადასხვა

სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი ლადო ჭანტურია

ბატონი ლადო ჭანტურიას ინიციატივით, დღის წესრიგში განსახილველად დამატებით შეტანილ იქნა  
შემდეგი საკითხები:

1. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე.
2. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების  
თაობაზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციული კომიტეტის  
ხელმძღვანელი ბატონი ლადო ჭანტურია.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრები: ქალბატონი მანანა ნიკაჭაძე, ბატონები: მამუკა მამალაძე,  
ვაჟა ხახუტაიშვილი, ბადრი მეტრეველი, ზურაბ რუხაძე, დავით დოიჯაშვილი.

მმართველი მოსამართლეები, ქალბატონები: მარიამ ცერცვაძე და ლელა ფრიდონაშვილი, ბატონები: შალვა ხაჭაპურიძე, აკაკი თოიძე.

თბილისის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეები, ბატონები: მამუკა სონღულაშვილი, აკაკი ბაქარძე, მამუკა ნოზაძე.

თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი თამაზ კაპანაძე.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, ბატონი ოთარ გოგოძე.

პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი მერაბ ახოზაძე. ნორმატიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ქალბატონი თამილა ლომიძე.

სხდომა გახსნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ბატონმა ლადო ჭანტურიამ, რომელიც მიესალმა სხდომის მონაწილეებს და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მოხსენება შესაბამისი დასკვნა, რომელიც ეყრდნობა საქართველოს კონტროლის პალატის მასალებს, საოლქო სასამართლოსა და დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მასალებს, წარმოადგინა ბატონმა თენგიზ ლილუაშვილმა, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სასამართლოების მხრიდან ძალიან ხშირია სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების გარეშე საქმის განხილვის ან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სახელმწიფო ბაჟის შემცირებული ოდენობით გადახდევინების შემთხვევები, რაც კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს (დასკვნა თან ერთვის ოქმს).

თანამომხსენებელმა, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ ახოზაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბაჟის სახით საერთო სასამართლოების სპეციალურ ანგარიშზე გადმორიცხული თანხა კლებულობს და ეს სასამართლოების ფუნქციონირებაზე საკმაო ზეგავლანეს ახდენს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს რეზერვებიც გადაუხდელი ბაჟის გამო. აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ზღვარის მოხსნის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს ბატონებმა: დავით დოიჯაშვილმა, მამუკა ნოზაძემ, ვაჟა ხახუტაიშვილმა, მამუკა სონღულაშვილმა, მამუკა მამალაძემ.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ განაცხადა, რომ სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების დაკისრების შესახებ, ხოლო თუ კონკრეტულად არ ჩანს ვის უნდა გადახდეს სასამართლო ხარჯები, ის უნდა დაეკისროს წაგებულ მხარეს, რაც შეეხება თანხას, მისი ოდენობა უფრო ზუსტად უნდა განისაზღვროს სააღსრულებლო ფურცლის გამოწერისას.

ბატონმა ვაჟა ხახუტაიშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად თავისუფლდება კომერციული და საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც უამრავ დავებს აწარმოებენ სასამართლოებში და მიზანშეწონილი იქნება, კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მათი საერთოდ გათავისუფლების ნაცვლად, მოხდეს წინასწარი გადახდისაგან ან გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრების მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებანი და დადგენილების პროექტში შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებანი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მოისმინეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაცია საერთო სასამართლოებში სასამართლო უწყებებისა და „ცენტრალიზებული სასამართლო ფოსტის“ მუშაობის შესახებ (იხ. დანართი).

აღნიშნულ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა: ვაჟა ხახუტაიშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, მამუკა მამალაძემ.

აღნიშნა, რომ დეპეშაში უწყების ყველა სავალდებულო რეკვიზიტის ჩამოწერა საგმრნობლად გაზრდის საფოსტო ხარჯებს, ხოლო უწყების შეკვეთილი წერილით გაგზავნას დიდი დრო მიაქვს.

სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობისას პასუხისმგებლობის არარსებობა ზრდის საფოსტო ხარჯებს, რადგან საჭირო ხდება მხარის ხელმეორედ გამოძახება. ქუთაისის საოლქო სასამართლოში შემუშავებულია დეპეშის სტანდარტული ფორმა, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას იგზავნება. არსებობს დეპეშების რეესტრი, სადაც აღირიცხება გაგზავნილი დეპეშების რაოდენობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც თვეში დაახლოებით 200-300 ლარს შეადგენს. ქუთაისში უწყებათა დაგზავნა კურიერების მეშვეობით ხორციელდება. დადგენილია საფოსტო მანქანის ორი მარშრუტი, ერთი თბილისი, ხოლო მეორე – დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. გარდა ამისა, კეთდება ეკონომიკური ანალიზი თითოეული საქმის განხილვისას სასამართლო ხარჯების კონკრეტული ღირებულების განსაზღვრისათვის, რომელიც თანდართული იქნება საქმის ბოლოს.

ბატონ ოთარ გოგომის აზრით პრობლემების მოსაგვარებლად არსებობს ორი გზა: სწორი სასამართლო პრაქტიკა და საქმისწარმოების წესის შეცვლა. საჭიროა შედგეს საქმეთა განხილვის სწორი გრაფიკი. პროცესი უნდა დაიგეგმოს ისეთ დროს, რომ გათვალისწინებულ იქნეს უწყების გასაგზავნად საჭირო დრო. კანცელარიამ უწყების ჩაბარებიდან მეორე დღესვე, გაჭიანურების გარეშე, უნდა გააგზავნოს იგი დაანიშნულების ადგილას.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიღეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გარკვეული შესწორებებით.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ბატონებმა მამუკა მამალაძემ, ოთარ გოგომემ, ქალბატონმა ლელა ფრიდონაშვილმა, ამ საკითხის განხილვისას ყურადღება გაამახვილეს გადაწყვეტილების აღსრულებასთან საერთო სასამართლოებში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე სასამართლოს მხრიდან კონტროლის რეალური მექანიზმის არარსებობაზე.

აღსრულების სამსახურს ამჟამადაც ეკისრება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე სასამართლოების ინფორმირების მოვალეობა, მაგრამ თავს არიდებს მის შესრულებას. რაც შეეხება ზოგიერთ რეგიონს, მაგალითად, ადიგენსა და ახალქალაქს, საერთოდ არ ჰყავთ აღმასრულებელი. ხშირად არ ხდება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დაკისრებული ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება და ასეთ შემთხვევაში, უფრო ეფექტური იქნებოდა სასჯელის შეცვლაზე ფიქრი.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ ფაქტებზე, რომ ხშირად სასამართლოების მხრიდან არაა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საპატიმრო ვადები, რაც წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციის დარღვევას. გაურკვეველი მიზეზებით ხდება ამ ვადების გაჭიანურება. საჭიროა შესწავლილ იქნეს ამ ვადების დარღვევის საფუძველი. თბილისის საოლქო სასამართლოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიმჩნევა საკმაოდ დიდი დარღვევები საპატიმრო ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

სხდომის მონაწილეებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ბატონი ლადო ჭანტურიას მოსაზრებით, ასევე აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების საკითხის შესწავლის მიზნით.

ადმინისტრაციულ კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას.

ბატონმა აკაკი თოიძემ დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლეთა დანშვნასა და მივლინებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ: სასამართლოში არის მოსამართლის 3 სამტატო ერთეული. აქედან ერთი მივლინებულია სხვა რაიონულ

სასამართლოში, ერთი მოსამართლე დანიშნულია დროებით. სასამართლოში დამატებით მოვლინებულია ჩოხატაურის სასამართლოს მოსამართლე. სირთულეებთანაა დაკავშირებული მივლინებული მოსამართლის მგზავრობა, ამიტომ ხშირად თავად უწევს მორიგე მოსამართლის ფუნქციის შესრულება.

ბატონმა აკაკი თოიძემ თხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ კომიტეტს, შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ რაიონულ სასამართლოში შექმნილი ვაკანსია შეივსოს ადგილობრივი კადრით.

ბატონმა მერაბ ახოზაძემ დამსწრეებს მოახსენა იმის თაობაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ბატონი ლადო ჭანტურიას დავალებით აუცილებელია გაანალიზდეს საერთო სასამართლოებში განსახილველად დანიშნულ საქმეებზე სასამართლო სხდომათა დაწყებისა და დაგვიანების მიზეზები და თითოეულ სასამართლოში, სისტემატიურად თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას სასამართლო პროცესების განრიგი, მათი დაგვიანებით დაწყებისა და გადადების შემთხვევებში, მიზეზის მითითებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს ბატონებმა: აკაკი ბაქრაძემ, მამუკა სონღულაშვილმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ სასამართლოთა მუშაობის გრაფიკი საკმაოდ გადატვირთულია და ზემოხსენებული ინფორმაციის სისტემატიურად წარმოება საკმაოდ დიდ სიმძლეებს შექმნის.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის უქონლობა საკმაოდ დიდი უხერხულობას ქმნის მოქალაქეთათვის, რომლებიც საათობით ელოდებიან პროცესის დაწყებას და არ იციან მათი გადადებისა და დაგვიანების მიზეზები, ამიტომ ზემოხსენებულ ღონისძიებათა ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენს. სასურველი იქნება ასევე, თუ საქართველოში დაინერგება საზღვარგარეთის პრაქტიკა და კანცელარიებში შემოღებული იქნება ე.წ. „დისპეჩერის“ თანამდებობა, რომელიც შეამოწმებს პროცესების ჩატარების გრაფიკს.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს გააცნო საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის ბატონი დავით სულაქველიძის განცხადება ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ განმარტა, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის 25-ე მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული კომიტეტის არჩეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველი შეიძლება გახდეს პირადი სურვილი. (განცხადება).

ამავე რეგლამენტის 26-ე მუხლით:

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ;

ბატონმა ლადო ჭანტურიამ, კონფერენციის რეგლამენტის 26-ე მუხლის შესაბამისად, ბატონი დავით სულაქველიძის განცხადება გააცნო ადმინისტრაციულ კომიტეტს.

რეგლამენტის შესაბამისად, ბატონი დავით სულაქველიძე გადამდგარად ითვლება განცხადების კომიტეტში წარდგენის დღიდან, ე.ი. 2002 წლის 14 თებერვლიდან.

ბატონმა ლადო ჭანტურიამ დამსწრეთ აცნობა, რომ რეგლამენტის შესაბამისად, ადმინისტრაციული კომიტეტის ახალი წევრი არჩეული იქნება საქართველოს მოსამართლეთა მომავალ, მე-4 კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება ზაფხულში და რომლის ზუსტი თარიღიც დადგინდება ადმინისტრაციული კომიტეტის მომავალ სხდომაზე.

სხდომაზე მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის საკოორდინაციო საბჭოს სახელზე, „მმართველი მოსამართლის სტატუსისა და საქმიანობის წესის

შესახებ“ დებულების მეოთხე მუხლის შესაბამისად, შემოსულია მმართველი მოსამართლეების, აკაკი თოიძისა და ნუგზარ სარიას ინფორმაცია შესაბამის რეგიონებში მართლმსაჯულების მდგომარეობისა და განხილულ საქმეთა სტატისტიკის თაობაზე.

მმართველმა მოსამართლეებმა, ამავე დებულების პირველი მუხლის თანახმად, საკოორდინაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ.

სხდომაზე დამატებით მიღებულ იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ანგარიშები წარმოადგინეს მმართველმა მოსამართლეებმა შალვა ხაჭაპურიძემ და მარიამ ცერცვაძემ. ლელა რფიდონაშვილი ინფორმაციას წარმოადგენს უახლოეს დღეებში.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მმართველი მოსამართლეების ანგარიშები მოსმენილ იქნას ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივ სხდომაზე.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. მოხდეს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტზე ბატონი თენგიზ ლილუაშვილის მიერ წარმოდრეგნილი დასკვნა გაეგზავნოს ყველა სასამართლოს.
2. ჩატარდეს მოკვლევა აღნიშნულ მასალებზე და თუ საჭირო გახდა, აღიძრას დისციპლინური დევნა მათში მოხსენებულ მოსამართლეებზე;
3. საერთო სასამართლოების მხრიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან გათავისუფლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული განჩინების საფუძველზე;
4. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და სამოსამართლო სწავლების ცენტრს, მოსამართლეთა და სასამართლოების აპარატების მოხელეთა სწავლებაში ყველა რეგიონის წარმომადგენელთა ჩართვა.
5. გაანალიზდეს საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის გადადების საფუძველები, რათა არ მოხდეს საქმეთა განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურება.
6. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების საკითხის შესწავლის მიზნით მამუკა მამალაძის ხელმძღვანელობით;
7. მმართველ მოსამართლეთა ინფორმაციები შესრავამის რეგიონებში მართლმსაჯულების მდგომარეობისა და საქმეთა განხილვის სტატისტიკის თაობაზე მოსმენილ იქნას საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის საკოორდინაციო საბჭოსა და ადმინისტრაციული კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე.

საქართველოს მოსამართლეთა  
კონფერენციის ადმინისტრაციული  
კომიტეტის ხელმძღვანელი,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარე ლადო ჭანტურია

ოქმის შემდეგი პირი თამილა ლომიძე